# ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი

2/2009



Ilia State University
National Center of Manuscripts

# Studies in Christian Archeology

## II

PH 'Akhali Sakartvelo'
Tbilisi **2009**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

# ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი

## II

გამომცემლობა „ახალი საქართველო“
თბილისი 2009

უაკ 050 (479.22)
ქ - 731

მთავარი რედაქტორი

ექვთიმე კოჭლამაზაშვილი

Editor-in-Chief

Tamaz (Ekvtime) Kochlamazashvili


| სარედაქციო საბჭო: | Editorial Board |
| --- | --- |
| ქეთევან ბეზარაშვილი | Ketevan Bezarashvili |
| ნინო დობორჯგინიძე | Nino Doborjginidze |
| თინა დოლიძე | Tina Dolidze |
| გურამ თევზაძე | Guram Tevzadze |
| ანეგრეტ პლონტკე-ლუნინგი | Annegret Plontke-Lüning |
| ნელი მახარაძე | Nely Makharadze |
| თამარ მესხი | Tamar Meskhi |
| თამარ ოთხმეზური | Tamar Otkhmezuri |
| ზაზა სხირტლაძე | Zaza Skhirtladze |
| ბერნარ უტიე | Bernard Outier |
| ანდრეა შმიდტი | Andrea Schmidt |
| ნინო ჭიჭინაძე | Nino Chichinadze |


ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
„ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანის“ სარედაქციო საბჭო
თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის ქ. № 3, II სართ. ოთ. E-207
ტელ. 857 17 18 01
tamaz_kochlamazashvili@iliauni.edu.ge

ISSN 1512 - 1879

# ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი
# 2 / 2009


ადრინდელი პატრისტიკა

ლორენცო პერონე
„ძაღლების განდევნა ლოცვის ჟამს“
მლოცველის სახე დემონებსა და ანგელოზებს შორის:
ორიგენედან ევაგრე პონტოელამდე . . . . . . . . . . . . . . . . . . 9

დოგმატურ-საღმრთისმეტყველო ლიტერატურა

ექვთიმე კოჭლამაზაშვილი
გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი
წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებისა —
„დაბადებისათჳს კაცისა“ (ტექსტის გამოცემისათვის) . . . . . . . . 54
ტექსტი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 90

მაია რაფავა, ნანა ჩიკვატია
სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი
„სინანულისა მიმართ“ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 236
ტექსტი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 251
ლექსიკონი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 294

ეგზეგეტიკა

თამარ ოთხმეზური
გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარები
ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში:
„ნათელთათჳს“ საკითხავის
ბასილი მინიმუსის განმარტება . . . . . . . . . . . . . . . . . . 303
ტექსტი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 307

ჰომილეტიკა

ექვთიმე კოჭლამაზაშვილი,
ერთი ფსევდოოქროპირისეული ჰომილიის
ატრიბუციისათვის . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 342
დანართი (ტექსტი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 361

ჰაგიოგრაფია


ექვთიმე კოჭლამაზაშვილი

წმ. გრიგოლ ნოსელის „ცხოვრება წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედისა“ და მისი ძველი ქართული თარგმანები . . . . . . . . . . . . . . . . 375

ტექსტისათვის . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 389

ტექსტი (გიორგი მთაწმიდელის თარგმანი) . . . . . . . . 400

ტექსტი (ეფრემ მცირის თარგმანი) . . . . . . . . . . . . . 461

თინა ცერაძე, ლელა ხოფერია

„იოანე მოწყალის ცხოვრების“ უცნობი ქართული რედაქცია . . . . . . . . . . . . . . . . . . . 540

ტექსტი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 565

ეკა ჭყოიძე

სასწაულების ინტერპრეტაცია გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“ . . . . . . . . . . . . 582


სასულიერო პოეზია


ქეთევან ბეზარაშვილი

ქართული არალიტურგიკული სასულიერო პოეზიის შესწავლისათვის . . . . . . . . . . . . . . 610


რელიგიური ისტორიოგრაფია


ნინო დობორჯგინიძე

შუა საუკუნეების რელიგიური ისტორიოგრაფია და იბერების იდენტიფიკაციის პრობლემა . . . . . . . . . . . 621


სალმრთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლები


ქეთევან ბეზარაშვილი

ქართული ელინოფილური სკოლების კვლევის პერსპექტივა: შავი მთიდან გელათამდე . . . . . . . . . . . . . . . . . . . 635


საეკლესიო-იერარქიული ტერმინოლოგია


თამარ მესხი

‘ტანუტერის’ ეტიმოლოგიისათვის . . . . . . . . . . . . . . . 651

## სამეცნიერო ინფორმაცია

ქეთევან ბეზარაშვილი
პატრისტიკული კვლევა საქართველოში: გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 665
სიმპოზიუმები, კონფერენციები (ქ. ბეზარაშვილი) . . . . . . . . . . 677
სამეცნიერო მივლინებები, პრემიები (ქ. ბეზარაშვილი) . . . . . . . 690

## ბიბლიოგრაფია

The Main Georgian editions of 2003-2008 in Patristics, Medieval Studies and Literary Theory (K.Bezarashvili) . . . . 694

## ABSTRACTS

LORENZO PERRONE, THE IMAGE OF PRAYER BETWEEN DEMONS AND ANGELS: FROM ORIGEN TO EVAGRIUS PONTICUS . . . . . . . . . . . . . 710

EKVTIME KOCHLAMAZASHVILI, ST. GIORGI THE HAGIORITE'S TRANSLATION OF ST. GREGORY OF NYSSA'S WORK *DE HOMINIS OPIFICIO* (Toward the publication of the text) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 711

MAYA RAPAVA, NANA CHIKVATIA, "ABOUT REGRET" BY SIMEON NEW THEOLOGIAN . . . . . . . . . . . . . . . . . . 712

THAMAR OTKHMEZURI, COMMENTARIES ON THE WORKS OF GREGORY OF NAZIANZUS IN THE GEORGIAN TRANSLATION TRADITION: BASILIUS MINIMUS' *Commentary* on *Oratio* 39 . . . . 713

EKVTIME KOCHLAMAZASHVILI, TOWARDS THE ATTRIBUTION OF ONE PSEUDO-CHRYSOSTOM HOMILY . . . . . . . . . . . 715

EKVTIME KOCHLAMAZASHVILI, THE ST. GREGORY OF NYSSA'S "LIFE OF ST. GREGORY THE THAUMATURG"

AND HIS OLD GEORGIAN TRANSLATIONS
(Publication of texsts, introductory article) . . . . . . . . . . . . . . 716

TINA TSERADZE, LELA KHOPERIA,
THE SO FAR UNKNOWN GEORGIAN RECENSION
OF "THE LIFE OF JOHN THE MERCIFUL"
(Preserved in Teimuraz Bagrationi's
autograph manuscript from St. Petersburg) . . . . . . . . . . . . . . 718

EKA TCHKOIDZE, AN INTERPRETATION
OF MIRACLES OF THE GEORGIAN
"LIFE OF GEORGE THE ATHONITE" (11th century) . . . . . . 720

KETEVAN BEZARASHVILI, FOR STUDYING GEORGIAN
NON-LITURGICAL SPIRITUAL POETRY . . . . . . . . . . . . . . . 721

NINO DOBORJGINIDZE, RELIGIOUS HISTORIOGRAPHY
OF THE MIDDLE AGES AND THE PROBLEM
OF IDENTIFICATION OF IBERIANS . . . . . . . . . . . . . . . . . . 722

KETEVAN BEZARASHVILI, FOR THE PERSPECTIVES
OF STUDYING GEORGIAN HELLENOPHILE SCHOOLS:
FROM THE BLACK MOUNTAIN
TO GELATI THEOLOGICAL SCOOL . . . . . . . . . . . . . . . . . . 723

TAMAR MESKHI, TOWARDS THE ETYMOLOGY
OF *TANUTER* . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 723

ყდის პირველ გვერდზე – წმ. გრიგოლ ნოსელი; მინიატურა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A 648 ხელნაწერიდან (ეფთვიმე მთაწმიდელის „მცირე სვინაქსარი", 1030 წ.)

## ექვთიმე კოჭლამაზაშვილი

# წმ. გრიგოლ ნოსელის „ცხოვრება წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედისა“ და მისი ძველი ქართული თარგმანები

წმ. გრიგოლ ნოსელის „შესხმაჲ წმიდისა გრიგოლი საკჳრველთმოქმედისაჲ“, რომელიც „წმ. გრიგოლი საკვირველთმოქმედის ცხოვრებადაც“ მოიხსენიება,[1] წარმოადგენს პანეგირიკულ (სადღესასწაულო) შესხმით სიტყვას (ენკომიას), რომელიც, მკვლევართა უმეტესობის აზრით, წარმოითქვა 380 წელს ნეოკესარიაში, წმინდა გრიგოლის დღესასწაულზე, 17 ნოემბერს [ბერნარდი 308]. არსებობს თხზულების მეორენაირი დათარიღებაც – 379 წელი, რომელიც ნაკლებად სარწმუნოდ მიიჩნევა.

გრიგოლ ნოსელის ეს ნაშრომი ითვლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ გრიგოლ საკვირველთმოქმედის ბიოგრაფიისათვის [კოეჩაუ 1898], თუმცა ავტორის მთავარი მიზანია არა ფაქტობრივი აკრიბია, წარმოშობისა და ცხოვრების მოვლენათა დეტალური აღნუსხვა (რომელიც, მისი სიტყვით, დამახასიათებელია გარეშე, არაქრისტიან ისტორიკოსთა თხზულებებისათვის), არამედ სულიერი შესხმა.

ეს განსხვავება წარმართ და ქრისტიან ისტორიკოსთა შორის, წმ. გრიგოლ ნოსელის განმარტებით, გამოწვეულია იმ კრიტერიუმთა განსხვავებით, რომლებითაც წარმართი და ქრისტიანი ავტორები აფასებენ სახელოვან ადამიანებს; შესხმითი სიტყვის წარმოთქმისას თითოეული რიტორი მათს იმ ღირსებებზე ამახვილებს ყურადღებას, რაც უპირატესი შექების ღირსად მიაჩნიათ. ამიტომაც, წარმართი ავტორები, ამქვეყნიური დიდების

1 ბერძნულად მისი სახელწოდებაა Εἰς τὸν βίον του ἁγίου Γρηγορίου τοῦ Θαυματούργου, ლათინურად – De Vita Gregorii Thaumaturgi. იხ. CPG 3184; BHG 715; PG t. 46, 893-957.